

ელექტრონული მთავრობის განვითარების მოდელი ელექტრონული სერვისების ბაზაზე

დავით ზაუტაშვილი, ბადრი ზივზივაძე, მთვარისა ზაუტაშვილი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო

zautashvili@hotmail.com , zivziva@mail.ru

ანოტაცია: სტატიაში განხილულია ელექტრონული მთავრობის განვითარების არსებული მოდელები. ნაშრომში მოცემულია მოდელების მოკლე დახასიათება განვითარების ეტაპების მიხედვით. სტატიაში მოცემულია ელექტრონული მთავრობის განვითარების ახალი მოდელი ელექტრონული სერვისების ბაზაზე.

საკვანძო სიტყვები: ელექტრონული მთავრობა, ელექტრონული მთავრობის განვითარების მოდელები, ელექტრონული მთავრობის განვითარების ეტაპები.

I შესავალი

ელექტრონული მთავრობის კონცეფცია წარმოიშვა XX საუკუნის ბოლო ათწლეულებში, როდესაც მსოფლიო განვითარებული ქვეყნები წააწყდნენ სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მუშაობის დაბალი ეფექტურობის პრობლემას რაც გამოიხატებოდა სახელმწიფო აპარატის დიდ დანახარჯებში, გადაწყვეტილების მიღების დაგვიანებაში და ცუდ მართვაში. ამერიკის შეერთებულ შტატებში და ევროპაში შემუშავებული იქნა სახელმწიფო მმართველობის ორგანოების

ეფექტურობის ამაღლების კონცეფცია ელექტრონული მთავრობის საფუძველზე.

მსოფლიოში დღესდღეობით არსებობს ელექტრონული მთავრობის განვითარების ორ ათეულზე მეტი მოდელი. მათ შორის აღსანიშნავია კომპანია Accenture-ის ხუთსაფეხურიანი მოდელი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხუთსაფეხურიანი მოდელი და კომპანია Gartner-ის ოთხსაფეხურიანი მოდელი.

საერთაშორისო ორგანიზაციების და მეცნიერების მიერ შემუშავებულია ელექტრონული მთავრობის განვითარების მოდელები ელექტრონული მთავრობის რესურსების, პროცესების, ტექნოლოგიების, ინფრასტრუქტურისა და ვებ შეფასების საფუძველზე. ელექტრონული მთავრობის განვითარების მოდელები შედგება სამიდან ექვსამდე თანმიმდევრული ეტაპებისაგან და თითოეული ეტაპი განსაზღვრავს ელექტრონული მთავრობის დანერგვით მიღწეულ შედეგებს.

II ელექტრონული მთავრობის განვითარების მოდელების ტიპები

ელექტრონული მთავრობის განვითარების ერთ-ერთი პირველი მოდელი შემოთავაზებული იყო 2002 წელს

ამერიკელი მეცნიერის ჩენის (H. Chen) მიერ [1]. ის მოიცავდა ოთხ საფეხურს:

1. სახელმწიფო ორგანოების მიერ ინტერნეტში ინფორმაციის განთავსება

2. ინტერნეტ-პორტალების და ელექტრონული ფოსტის მეშვეობით სახელმწიფო ორგანოებსა და ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის ორმხრივი კომუნიკაცია

3. სახელმწიფო ორგანოებსა და მათი სერვისების მომხმარებლებს შორის სრულფასოვანი ელექტრონული დოკუმენტბრუნვა

4. სახელმწიფო სერვისების ტრანსფორმაცია მომხმარებლების მოთხოვნებისა და ახალი ტექნოლოგიური შესაძლებლობების გათვალისწინებით.

სამეცნიერო ლიტერატურაში ციტირების მაღალი რაოდენობის მიხედვით ეს მოდელი შეიძლება ჩაითვალოს კლასიკურ მოდელად.

მეცნიერები კონჩა და სხვა (Conca et al) [2] გამოყოფენ ელექტრონული მთავრობის განვითარების მოდელის სამ ტიპს:

1. სახელმწიფო მოდელები
ეს მოდელები შემუშავებულია სახელმწიფოების, ექსპერტების და მეცნიერების მიერ სახელმწიფო უწყებებისათვის და მიმართულია ელექტრონული მთავრობის განვითარების დონის განსაზღვრაში და მისი ამოქმედების ღონისძიებების განხორციელებაში. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ „Canadian e-Government Capacity Check“ [3], რომელშიც მოცემულია ელექტრონული სერვისების მიწოდების პროცესში სახელმწიფო სააგენტოების შეფასების ინსტრუმენტები

2. შეფასებითი მოდელები
ეს მოდელები განსაზღვრავენ სახელმწიფო უწყებებში ელექტრონული მთავრობის პროექტების განხორციელების წარმატების

შეფასებას. ამ მოდელის მაგალითია „Capacity Assessment Toolkit“ [4], რომლითაც შესაძლებელია

ელექტრონული მთავრობის განვითარების პროექტების ეფექტურობის შეფასება 180 ინდიკატორის მეშვეობით

3. ელექტრონული მთავრობის განვითარების ევოლუციური მოდელები
ამ მოდელებში მოცემულია ელექტრონული მთავრობის განვითარების პროცესი თანმიმდევრულად ზრდადი ეტაპების მიხედვით. ამ მოდელის ყველაზე ცნობილი მაგალითებია: ლეინი და ლის (Layne and Lee) და ანდერსენის და ჰენრიქსენის (Andersen and Henriksen) მოდელები [5].

აღსანიშნავია ელექტრონული მთავრობის განვითარების მოდელის არაერთგვაროვნება. მსოფლიო პრაქტიკის ანალიზი აჩვენებს, რომ ელექტრონული მთავრობის განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე გადასვლა არ გულისხმობს წინა განვითარების ეტაპის პოტენციალის მაქსიმალურ გამოყენებას. ამასთანავე ცალკეულ ქვეყნებში პრიორიტეტულია ამა თუ იმ ინფორმაციის და მომსახურების სპეციფიკური ნაკრები და ეს განსხვავებები უფრო შესამჩნევია შედარებით მაღალ ეტაპზე გადასვლის შემთხვევაში. [6]

ცხრილში მოცემულია სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის და მეცნიერის მიერ შემოთავაზებული ელექტრონული მთავრობის განვითარების მოდელები. [7]

ცხრილი. ელექტრონული მთავრობის განვითარების მოდელები

ეტაპები მოდელი	ეტაპი 1	ეტაპი 2	ეტაპი 3	ეტაპი 4	ეტაპი 5
კომპანია Gartner	ინტერნეტ წვდომა	ურთიერთქმედება	ტრანზაქცია	ტრანსფორმაცია	-
გაერთიანებულ ი ერების ორგანიზაცია (UN)	საწყისი	გაუმჯობესებული	ტრანზაქციული	დაკავშირება	-
ევროკავშირი (EU)	ინფორმაციულ ი	ინტერაქტიური ცალმხრივი	ინტერაქტიური ორმხრივი	ტრანზაქციული	პროაქტი ული
კომპანია Accenture	ონლაინ წვდომა	საბაზისო ფუნქციები	მომსახურების ხელმისაწვდომო ბა	მომსახურების მიწოდების განვითარება	მომსახუ რების ტრანსფო რმაცია
ვინდლი (Windley)	მარტივი ვებ-საიტი	ონლაინ მთავრობა	ინტეგრირებული მთავრობა	ტრანსფორმირებუ ლი მთავრობა	-
ჩენი და სხვა (Chen et al)	კატალოგი	ტრანზაქცია	ვერტიკალური ინტეგრაცია	-	-
სიუ და ლონგი (Siau and Long)	ინტერნეტ წვდომა	ურთიერთქმედება	ტრანზაქცია	ტრანსფორმაცია	ელექტრ ონული დემოკრა ტია
მსოფლიო ბანკი (World Bank)	გამოქვეყნება	ურთიერთქმედება	ტრანზაქცია	-	-
ჰილერი და ბალანჯერი (Hiller and Belanger)	ინფორმაციის გავრცელება	ორმხრივი კომუნიკაცია	ტრანზაქცია	ინტეგრაცია	მონაწილ ეობა
ანდერსენი და ჰენრიქსენი (Andersen and Henriksen)	დანერგვა	გაფართოება	სისრულე	რევილუცია	-

ლეინი და ლი (Layne and Lee)	კატალოგი	ტრანზაქცია	ვერტიკალური ინტეგრაცია	ჰორიზონტალური ინტეგრაცია	-
ალჰომოდი და სხვა (Alhomod et al)	ონლაინ წვდომა	ურთიერთქმედება	სრული ტრანზაქცია	სერვისების ინტეგრაცია	-


III ელექტრონული მთავრობის განვითარების მოდელი

ელექტრონული მთავრობა უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვა სახელმწიფო მმართველობაში. ეს უპირველეს ყოვლისა არის სახელმწიფო მმართველობის ახალი კონსეფცია, რომელიც ითვალისწინებს სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის ურთიერთთანამშრომლობის შეცვლას და მოიცავს სახელმწიფო სტრუქტურების

მართვის პროცესების რეინჟინირინგს, სახელმწიფო ფუნქციების განხორციელების მეთოდების და საშუალებების მოდერნიზაციას საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მეშვეობით.

სახელმწიფოს, ბიზნესის, მოქალაქეების და არასამთავრობო ორგანიზაციების ელექტრონული ურთიერთქმედების სქემა მოცემულია ნახაზზე 1.[8]

ელექტრონული მთავრობის ურთიერთქმედებების ფორმები: G2G, G2C/C2G, G2B/B2G, G2N/N2G.



ნახ. 1. ელექტრონული მთავრობის ურთიერთქმედებების ფორმები

მთავრობა-მთავრობა G2G - ელექტრონული მთავრობა საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მეშვეობით საშუალებას იძლევა დამყარდეს შიგა და გარე კავშირები სახელმწიფო ორგანოებს შორის.

მთავრობა - მოქალაქე G2C/C2G - მოცემული ფორმის ფარგლებში ხორციელდება სამთავრობო უწყებების და მოქალაქეების ურთიერთქმედება ელექტრონული სერვისების მეშვეობით. ამასთანავე სახელმწიფო მოქალაქეებს საშუალებას აძლევს ელექტრონული მონაწილეობა მიიღონ მართვის და გადანაცვების მიღების პროცესში.

მთავრობა - ბიზნესი G2B/B2G - ელექტრონული მთავრობის დანერგვა საშუალებას იძლევა სახელმწიფო ორგანოების დანახარჯების შემცირების საშუალებას გამჭვირვალე სახელმწიფო შესყიდვების სისტემის (e-procurement) მეშვეობით.

მთავრობა - არასამთავრობო ორგანიზაციები G2N/N2G - წარმოადგენს საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე ყველაზე უფრო სუსტად განვითარებულ ფორმას. მისი ძირითადი დანიშნულებაა ინფორმაციული ურთიერთობების დამყარება სახელმწიფო სტრუქტურებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის ინფორმაციული საზოგადოების განვითარების მიზნით. [9]

ჩვენ მიერ შემოთავაზებული ელექტრონული მთავრობის განვითარების მოდელი განეკუთვნება ევოლუციურ მოდელს და შედგება 4 ეტაპისაგან:

1 ეტაპი - ინტერნეტ წვდომა

ურთიერთქმედების ფორმა G2C

ინტერნეტის ქსელში ხდება სახელმწიფო ვებ-საიტების განთავსება, სადაც მოცემულია ძირითადი სახელმწიფო ინფორმაცია (სახელმწიფო უწყებების უფლებები და მოვალეობები, ნორმატიული აქტები, განკარგულებები, ბრძანებები, საკონტაქტო ინფორმაცია) და სამინისტროების და სახელმწიფო სააგენტოების ბმულები.

2 ეტაპი - ინტერაქტიული

ურთიერთქმედების ფორმები: G2G, G2C, C2G

ამ ეტაპზე მოქალაქეებს და სახელმწიფო უწყებებს შორის ხორციელდება ორმხრივი ინტერაქტიული ურთიერთქმედება. სახელმწიფო უწყებების ორგანოების ვებ-საიტებზე შესაძლებელი ხდება ელექტრონული ფორმების ჩამოტვირთვა, ინფორმაციის მოთხოვნა ამა თუ იმ საკითხზე, ჩნდება საჯარო მოხელეებისათვის ელექტრონული ფოსტით ინფორმაციის გაგზავნის შესაძლებლობა. ასევე შესაძლებელია მონაწილეობის მიღება ონლაინ დისკუსიებში და ელექტრონული პეტიციების წარდგენა. სახელმწიფო ორგანოებს შორის ხორციელდება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის დანერგვა.

3 ეტაპი - ტრანზაქციული

ურთიერთქმედების ფორმები: G2G, G2C, C2G, B2G, G2B

ამ ეტაპზე ხორციელდება სახელმწიფო ორგანოებს და მოქალაქეებს და ბიზნესს

სექტორს შორის ტრანზაქციული ურთიერთქმედება. სახელმწიფო ორგანოების ვებ-საიტზე შესაძლებელია ონლაინ სერვისების გამოყენებით სხვადასხვა სახის იურიდიული დოკუმენტების ჩამოტვირთვა და მათი ონლაინ შევსება, დეკლარაციების წარდგენა და სხვა. სახელმწიფო შეყიდვების ელექტრონული სისტემის მეშვეობით ბიზნესი მონაწილეობს ონლაინ ტენდერებში.

4 ეტაპი - ინტეგრაციული

ურთიერთქმედების ფორმები: G2G, G2C, C2G, B2G, G2B, G2N, N2G

ამ ეტაპზე სახელმწიფო არა მარტო აწვდის მოქალაქეებს, კომერციულ და არაკომერციულ ორგანიზაციებს სრული სახის ონლაინ სერვისებს ერთიანი სახელმწიფო ვებ-პორტალის მეშვეობით არამედ მათ რთავს მართვის და გადანაცვებების მიღების პროცესში Web 2.0 და Web 3.0 ტექნოლოგიების გამოყენებით. ელექტრონული არჩევნების სისტემა სრულად ინერგება სახელმწიფო მმართველობის ყველა დონეზე.

IV დასკვნა

დღესდღეობით მსოფლიოში არ არის ცალსახად მიღებული ერთი რომელიმე ელექტრონული მთავრობის განვითარების მოდელი. საერთაშორისო ორგანიზაციები და მეცნიერები უპირატესობას ანიჭებენ ამა თუ იმ მოდელს იმ პირობიდან გამომდინარე თუ რომელი მაჩვენებელი არის პრიორიტეტული მოდელის აგების დროს (რესურსები, ტექნოლოგიები, ვებ-წვდომა)

ზოგადად ელექტრონული მთავრობის განვითარების ეტაპები ზოგიერთი ავტორის შემთხვევაში ერთმანეთის მსგავსია, თუმცა განსხვავებულია ელექტრონული მთავრობის განვითარების და სისრულეში მოყვანის ეტაპების რაოდენობა და ამ

ეტაპების მახასიათებლები და მაჩვენებლები.

ჩვენს მიერ შემოთავაზებული მოდელი განეკუთვნება ელექტრონული მთავრობის განვითარების ევოლუციურ მოდელს. მასში მკაფიოდ არის განსაზღვრული ეტაპების განსხვავება სახელმწიფო ორგანოების მიერ მინოდებული ელექტრონული სერვისების სისრულის მიხედვით.

მოდელის სუსტ მხარედ შეიძლება ჩაითვალოს სახელმწიფო ორგანოების და არასამთავრობო ორგანიზაციების ურთიერთქმედების არასრული აღწერა.

აღსანიშნავია, რომ N2G და G2N დონის ურთიერთქმედების ინფორმაციული სისტემები ელექტრონული მთავრობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე არ არის მკაფიოდ გამოკვეთილი და წარმოადგენენ სამომავლო კვლევების აქტუალურ ამოცანას.

გამოყენებული ლიტერატურა და ვებ-რესურსები

[1] Chen, J., Yan, Y., & Mingins, C. A Three-Dimensional Model for E-Government Development with Cases in China's Regional E-Government Practice and Experience. In Management of e-Commerce and e-Government (ICMeCG), 2011 Fifth International Conference on (pp. 113–120).

[2] Concha, G., Astudillo, H., Porrúa, M., & Pimenta, C.. E-Government procurement observatory, maturity model and early measurements. Government Information Quarterly, 2012 29, S43–S50.

[3] KPMG. e-Government Capacity Check Diagnostic Tool. 2000. <http://www.tbs-sct.gc.ca/emf-cag/risk-risques/tools-outils-eng.asp>

[4] Cresswell, A. M., Pardo, T. A., & Canestraro, D. S. Digital capability assessment for eGovernment: A multi-dimensional approach. In Electronic Government (pp. 293–304). 2006. Springer.

[5] Andersen, K. V., & Henriksen, H. Z. . E-government maturity models: Extension of the Layne and Lee model. Government Information Quarterly, 2006 23(2), 236–248

- [6] Alhomod, S. M., Shafi, M. M., Kousarrizi, M. N., Seiti, F., Teshnehlab, M., Susanto, H., Batawi, Y. A. Best Practices in E government: A review of Some Innovative Models Proposed in Different Countries. International Journal of Electrical & Computer Sciences, 2012 (12)1–6.
- [7] Abdoullah Fath-Allah, Laila Cheikhi, Rafa E. Al-Qutaish and Ali Idri1 E-government Maturity Models A Comparative Study International Journal of Software Engineering & Applications (IJSEA), Vol.5, No.3, May 2014
- [8] Zautashvili David, Chanturia Nodar „Development of mechanisms of electronic participation on the local self-government web-sites“ IV international conference «problems of cybernetics and informatics» Baku, Azerbaijan. 2012 volume 1.p 59-61
- [9] Зауташвили Д., Бардавелидзе А. „Формы взаимодействия электронного правительства“ XI Международная научно практическая конференция «Инновации на основе информационных и коммуникационных технологий» Сочи. Россия. 2014 г. стр. 575 - 577